საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი№11

ქ. თბილისი

07.02.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი,საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ნინო ლიპარტია - ,,იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (სხდომის მდივანი);
ნატო გეგნგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის ტეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდოარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი:
ანანო გორგოძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ელენე ბერიძე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
ბაკურ კვაშილავა - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი
ირაკლი სოკოლოვსკი- სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძვანელი
ირინა ბაქრაძე - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
თინათინ ერქვანია - ჯიპას ასოცირებული პროფესორი
ლევან თოთლაძე - ჯიპას ასოცირებული პროფესორი
ანა ქირია - სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი
ნესტან ციციშვილი სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი
მანანა გაბაშვილი - გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
თინათინ ჩხეიძე - გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
ხათუნა ბერაია სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
რამაზ საყვარელიძე - მოწვეული პერსონალი
მარინა კვიცარიძე - გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი:
ვაჟა ვარდიძე - რექტორი
ვლადიმერ სახელაშვილი - კანცლერი
ნათია შეყილაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი
მარიო შიუტცე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი
დიმიტრი გეგენავა - სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:
ლალი ხვედელიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი
ეკატერინე მუსხაჯბა - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი
ნათია მიქელთაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
მანანა მოისწარფიშვილი;

დავით მაისურაძე;
მალხაზ ნაკაშიძე;
თეა იმედაძე;
ნანა ბურდული;
რუსუდან ბოჭორიშვილი;
ლალი ჩირგაძე;
გიორგი მახარობლიშვილი;
თათია უბერი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2მუხლისმე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის გემის ენერგეტიკული დანადგარების ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა. დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის და ადმირალ მაკაროვის სახელობის ეროვნული გემთმშენებელი უნივერსიტეტის გემის ენერგეტიკული დანადგარების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამისმოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრი 1110[1]
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	250

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის გადამოწმება განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. შეფასებული იქნა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ასევე, მონაწილეობდა დარგის სპეციალისტი შოთა კუნჭულია, შესაბამისად დასკვნა შედგენილი იქნა ერთობლივად. შესწავლილი იქნა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა, სასწავლო პროგრამა და სილაბუსები, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ 2016 წელს შევსებული წლიური თვითშეფასების ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია და შემაჯამებელი ანგარიში 2016-2017 წლებისათვის და დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. პირველი სტანდარტი იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, კერძოდ,

1.1 კომპონენტი შესაბამისი იყო სტანდარტისა, თუმცა 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისი. როგორც ცნობილი იყო მინისტრის 120/ნ ბრძანებაში განხორციელებულ იქნა ცვლილება, ჩამოყალიბდა დარგობრივი მახასიათებელი რომლის მიხედვით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჯერ კიდევ მითითებული იყო საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა - ბაკალავრი, კვალიფიკაციის კოდით 1110[1]) ძველი კვალიფიკაცია და მისი კოდი. შესაბამისად აუცილებელი იყო განხორციელებულიყო ცვლილება და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეორე სტანდარტი მთლიანობაში იყო ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს. აღნიშნულ შემთხვევაში, მთავარი პრობლემა გახლდათ არასრული ინფორმაცია - აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი შრომების სია. ასევე, მოწვეული პედაგოგების ნაწილში დარღვეული იყო თანაფარდობა, მათი რაოდენობა იყო 30%-ზე მეტი. პროგრამის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო რეკომენდაცია საზღვაო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა 6 თვეს რაც მოთხოვნილი იყო დარგობრივი მახასიათებლის მიერ. აღსანიშნავი იყო, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არ იყო გაწერილი კრედიტების და საათების რაოდენობა, რაც აჩენდა ბუნდოვანებას, შესაბამისად კრედიტების რა რაოდენობა იქნებოდა განსაზღვრული არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რამოდენიმე წვრილმანი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა წინაპირობებს, კომპეტენციების დაზუსტებას, გაცემული იყო მხოლოდ იმ ტიპის რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარებას და მის თანხვედრას დარგობრივ მახასიათებელთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყურადღებას გაამახვილებდა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებზე. პროგრამა აკრედიტებული იყო 2015 წელს და მისი აკრედიტაციის ვადა გრძელდებოდა 2020 წლამდე. 2018 წლის აპრილში აკადემიურ საბჭოზე დადგინდა, რომ უნდა განხორციელებულიყო პროგრამის მოდიფიცირება დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. შესაბამისად 2018 წლის 20 აპრილიდან დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა პროგრამის მოდიფიცირების მიზნით. 2018 წლის 27 ივლისს მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცებული იქნა აკადემიურ საბჭოზე, 6 აგვისტოს პროგრამა ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვართან ერთად გადაგზავნილ იქნა ცენტრში. 2018 წლის 18 ოქტომბერს დაწესებულებამ მიიღო აღნიშნული პროგრამის ელექტრონული გეგმიური მონიტორინგის დასკვნის პროექტი და მხოლოდ პროექტის მიღების შემდგომ მათთვის გახდა ნათელი, რომ განხორციელებული იყო მონიტორინგი. დასკვნის პროექტში ასახული რეკომედაციები იყო უდაოდ ქმედითი და აქტუალური, თუმცა შეესაბამებოდა წინამორბედ პროგრამას, რომელიც ხორციელდებოდა მოდიფიცირებამდე. დაწესებულებამ დასკვნის პროექტზე შემუშავებულ წერილში ცენტრს აცნობეს, რომ პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, ყველა რეკომენდაცია, რამოდენიმე პუნქტის გარდა, რომელზეც დაწესებულებას ჰქონდა თავისი მოსაზრება, დაწესებულებას ჰქონდა გათვალისწინებული. 2019 წლის 8 იანვარს დაწესებულებას ჩაბარდა მონიტორინგის დასკვნა პირვანდელი სახით. დაწესებულების წარმომადგენელს თან ჰქონდა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა პროგრამის მოდიფიცირების

ეტაპებს და შეეძლო წარედგინა საბჭოს წევრებისათვის. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ პარალელურ რეჟიმში დაწესებულება გადიოდა ავტორიზაციას, მათ უკვე მიღებული ჰქონდათ ავტორიზაციის დასკვნა სადაც მე-3 სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში.

16:40 საათზე სდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 16:55 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა - „გემის ენერგეტიკული დანადგარები" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით

16:55 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე

16:55 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ქეთევან ქოქრაშვილმა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27²მუხლისმე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა.

2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის მაგისტრი 0707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, ნანა ბურდულმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული მოსამზადებელი კურსის, როგორც მოცულობის (საკითხთა მრავალფეროვნებისა და სიღრმის), ისე ხანგრძლივობის გაზრდა;
- რეკომენდირებული იყო პროგრამაზე დაშვების (ერთ-ერთ) წინაპირობად B1 დონის ინგლისურის ნაცვლად მოთხოვნილი ყოფილიყო B2 დონის ინგლისური;
- რეკომენდირებული იყო ფსიქომეტრიის კურსის ნაცვლად ორი ახალი კურსის შეთავაზება: 1. კურსი რომლის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზებდნენ კონკრეტულ, მათი ინტერესებისათვის მაქსიმალურად შესაბამის რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეულ სწავლებას და 2. კურსი, რომელშიც სტუდენტები ისწავლიდნენ SPSS -ში მუშაობის პრინციპებსა და კონკრეტული მეთოდების გამოყენებას/ინტერპრეტაციასა და

ანგარიშგებას. ამასთან, პირველი კურსი შესაძლოა ყოფილიყო სავალდებულო, მეორე კი არჩევითი და სტუდენტები საჭიროების მიხედვით შეძლებდნენ აღნიშნული კურსის აღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაციის თანახმად საუბარი იყო იმ სასწავლო კურსებზე რომელთა გავლა შეეძლოთ არა მხოლოდ ფსიქოლოგებს არამედ სხვა დარგის წარმომადგენლებსაც. მათ შეუძლიათ გაიარონ 3 თვიანი კურსები, რომელთა გავლის შემდეგ მათი მოსაზრებით სტუდენტებს ექნებოდათ საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ შეძლებოდათ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა. რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებს შესაძლებელი იყო გამიჯნულიყო ორ ნაწილად. ერთი ეხებოდა შინაარსობრივ მხარეს და მეორე ხანგრძლივობას. აღსანიშნავი იყო რომ კვლევის მეთოდების კურსი უკვე დამატებული იყო პროგრამაში ხოლო ხანგრძლივობის თვალსაზრისით ჩანდა რომ კურსი იყო მოკლე 3 თვე, თუმცა კონცეფცია მდგომარეობდა იმაში, რომ სტუდენტებს მიეღოთ საკმარისი განათლება მაგისტრატურაში სასწავლებლად. სტუდენტები გადიოდნენ მხოლოდ იმ საბაზისო საგნებს, რომელიც მათ აუცილებლად დასჭირდებოდათ. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, აღსანიშნავი იყო რომ B1 დონე მოიცავდა ყველა ძირითად გრამატიკულ და ლექსიკურ კონსტრუქციებს. აღნიშნული დონით სტუდენტი შეძლებდა ტექსტის წაკითხვას და გაგებას, უცხოენოვანი ლიტერატურა ფაქტიურად არ გამოიყენებოდა. დაწესებულება განიხილავდა შესაძლებლობას B2 დონის დაწესებასთან დაკავშირებით იქედან გამომდინარე, რომ კვლევის კომპონენტის გაძლიერებასთან ერთად დაწესებულების და კვლევის დეპარტამენტის ახალი პოლიტიკიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ სამომავლოდ არსებული დონე აღარ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა რომ, ეხებოდა კურსების ჩანაცვლებას და კვლევის მეთოდების სიღრმისეულად სწავლებას, რეკომენდაცია მიღებული და გაძლიერებული გახლდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტში ხორციელდებოდა წლების მანძილზე, წლების განმავლობაში პროგრამაზე მიმდინარეობდა დაკვირვება. პროგრამაში გათვალისწინებული იყო წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, შესაბამისად პროგრამა გახლდათ საკმაოდ ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების და დაკვირვების პროდუქტი და წარმოადგენდა ერთ-ერთ წარმატებულ პროგრამას მათ უნივერსიტეტში. უმნიშვნელოვანესი იყო გამოცდილება და პრაქტიკა, რაც დაგროვილი იყო წლების განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი. მას აინტერესებდა რამდენად მისაღები და დაშვებული იყო ასეთი პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ სამწუხარო რეალობა რომლის წინაშე არა მარტო ფსიქოლოგიის პროგრამა იდგა. დაწესებულებას არ ჰქონდა ფუფუნება კვალიფიციური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე, აღნიშნული წარმოადგენდა გლობალურ პრობლემას განათლების სისტემაში. ზოგადად მაგისტრატურის

დონეზე უცხო ენოვანი ლიტერატურა არ წარმოადგენდა პრობლემას, სტუდენტებს უწევდათ დამატებითი უცხო ენოვანი ლიტერატურის კითხვა, პრეზენტაციების მომზადება.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა B1 დონით რამდენად დაძლევდა სტუდენტი უცხო ენოვან ლიტერატურას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის დონე ფასდებოდა ოთხი კომპონენტის მიხედვით, დაწესებულება ითხოვდა მხოლოდ წაკითხულის გააზრებას იმის მიუხედავად იყო თუ არა აღნიშნული პროფესიული ტერმინოლოგია. პრაქტიკიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელი იყო სტუდენტს ჰქონოდა B2 დონე თუმცა ვერ გაეგო პროფესიული ინგლისური.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა გადიოდნენ თუ არა სტუდენტები პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა თავდაპირველად ითვალისწინებდა პრაქტიკას, თუმცა შემდგომ სტატისტიკიდან და დასაქმებლის მაჩვენებლიდან გამომდინარე სტუდენტების 80% დასაქმებული იყო სამაგისტრო საფეხურზე, შესაბამისად პრაქტიკა არ იყო სავალდებულო. პრაქტიკული ასპექტები ინტეგრირებული იყო კონცენტრაციებში და დავალებების უმეტესობა მოიცავდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომი მათ დაწესებულებაში რეგულირდებოდა ერთიანი წესით, სადაც ასევე გაწერილი იყო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის და შეფასების კრიტერიუმები. მაგისტრანტი თავად ირჩევდა დარგისათვის რელევანტურ თემას. ნაშრომის შეფასება ხდებოდა ერთიანად კომისიის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა კარიერული დასაქმების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობდა, როგორც ექსკლუზიურ ვაკანსიებს, ასევე დასაქმებას სხვადასხვა ორგანიზაციებში. ფიზიკურად პრაქტიკა პროგრამაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ დოკუმენტის სახით, ვინაიდან ის ვერ განხორციელდებოდა. რაც შეეხებოდა პრაქტიკის კომპენსაციას, პრაქტიკულ ნაწილში იყენებდნენ იმ ცოდნას, რასაც თეორიულად აწვდიდნენ ლექტორები.

17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:50 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი.

3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, დავით მაისურაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო სიტუაციურ ანალიზზე ყურადღების გამახვილება;
- რეკომენდირებული იყო სწავლების მეთოდების დეტალური განმარტება;
- რეკომენდირებული იყო გარე შეფასების მექანიზმის გაძლიერება და პროგრამის განვითარებაში დამსაქმებლების კიდევ უფრო მეტად აქტიური ჩართულობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. მან, ასევე საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარკვეულწილად იზიარებდნენ რეკომენდაციებს, თუმცა ჰქონდათ გარკვეული მოსაზრებები. აღსანიშნავი იყო, რომ case study სწავლების მნიშვნელოვანი მეთოდი იყო, რომელიც გამოიყენებოდა თითქმის ყველა საგანში, თუმცა კონკრეტულ სილაბუსებში აღნიშნული ტერმინის ნაცვლად გამოიყენებოდა კაზუსების განხილვის მეთოდები. ასევე, მაგალითისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საგანში გამოიყენებოდა კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვა-ანალიზი, ევროკავშირის სამართლის კურსის ნაწილი იყო ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავი იყო, რომ ლექტორი თავისუფალი იყო თავად განესაზღვრა სწავლის მეთოდები და მეთოდების დაკონკრეტების (განვრცობის) ან დეტალიზაციის ხარისხი. სწავლის მეთოდის მითითება იმ ფორმით, როგორც მოცემული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებაში (შემდგომი განმარტების გარეშე) ადვილად აღსაქმელი და გასაგები იყო სტუდენტისათვის. შესაბამისად, სწავლის მეთოდის დეტალური განმარტება ლექტორის პრეროგატივას წარმოადგენდა ან სავალდებულო იყო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დეტალური განმარტება გამომდინარეობდა საგნის ბუნებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გარე შეფასების თვალსაზრისით პროგრამაში ჩართულები იყვნენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები. თუმცა, უნივერსიტეტი და სკოლა აგრძელებდა მუშაობას აღნიშნული კომპონენტის გაძლიერებაზე. იგეგმებოდა სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ სამართლის და სხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტები, როგორც კერძო ისე საჯარო სფეროდან, მათ შორის საქართველოს მსხვილი დამსაქმებლები. საგანმანათლებლო პროცესში აღნიშნული ჯგუფის ჩართვა ხელს შეუწყობდა პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას. უნივერსიტეტში ასევე იგეგმებოდა სამართლის კურსდამთავრებულთა ასოციაციის ჩამოყალიბება. ასოციაცია გამოყენებული იქნებოდა პროგრამის გარე შეფასების მიზნებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასარიკის უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში იგეგმებოდა ჩეხ ექსპერტებთან კონსულტაციები პროგრამის შეფასების და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა შეხვედრა დამსაქმებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს შორის. აღსანიშნავი იყო, რომ დაწერსებულებამ სამ უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმა შრომის ბაზრის ფართომაშტაბიანი კვლევის ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა დამსაქმებლების და ზოგადად, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ იზიარებდნენ დასკვნაში ასახულ რჩევებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არსებობდა ჩანაწერი, რომლის თანახმად სტუდენტს უნდა სცოდნოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები. პროგრამაში ადგილობრივი თვითმმართველობა გათვალისწინებული იყო არჩევითი კურსის სახით, თუმცა იქვე

კონსტიტუციური სამართლის სილაბუსში იყო აღნიშნულ საკითხთან შემხებლობა, მაგრამ მხოლოდ ერთ ლექციაში. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია - აღნიშნული მოცემულობით როგორ გადიოდნენ შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საკონსტიტუციო სამართლის კურსის ავტორმა განაცხადა, რომ კურსში ერთ-ერთ ბოლო თემად რიგითობის მიხედვით მითითებული იყო მუნიციპალიზმი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა იკითხა შესაძლებელი იყო თუ რა ერთ თემაში ადგილობრივი თვითმართველობის საკითხის ამოწურვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ადგილობრივი თვითმართველობის საკითხებს საბაზისო დონეზე ეცნობოდნენ საკონსტიტუციო სამართლის კურსის ფარგლებში, ხოლო შემდგომ საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმზე მეოთხე კურსზე და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კურსში იღრმავებდნენ ცოდნას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას, ვინაიდან ერთ თემაში იმ საკითხის ამოწურვა, რომელიც სავალდებულო იყო დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მისი მოსაზრებით ნაკლებად იყო შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ თემაში არ ხდებოდა ადგილობრივი თვითმართველობის საკითხის ამოწურვა, თემატიკას ითვალისწინებდა ისეთი სავალდებულო კურსები, როგორიც იყო საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და რეპეტიტორიუმი. კურსები იკითხებოდა მეოთხე კურსზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ასევე ითხოვდა დარგობრივი ინგლისურის სწავლებას. პროგრამის მეშვიდე შედეგეგის მიხედვით აღნიშნული იყო დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა დარგობრივ ინგლისურთან დაკავშირებით, თუმცა დარგობრივი ინგლისური, ინგლისური 1 და ინგლსიური 2 წარმოდგენილი იყო არჩევითი საგნის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური 1, 2, 3 და 4 მოიცავდა იურიდიულ ტერმინოლოგიასაც, აღნიშნული ინგლისური ენის 4 კურსი ისწავლებოდა ინტენსიურად კვირაში სამჯერ 2 საათი. არჩევითი დარგობრივი ინგლისური მოიცავდა იურიდიულ ინგლისურს, იმიტირებულ ინგლისურს და წერითი უნარების სწავლებას უფრო სიღრმისეულად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ სახელშეკრულებო სამართალს, რომელსაც ეთმობოდა 5 კრედიტი და მოიცავდა საკმაოდ მოცულობით საკითხებს. მეათე კვირაში ერთი შეხვედრა ეთმობოდა ისეთ მსხვილ საკითხებს, როგორიც იყო თავდებობა, საბანკო გარანტია და აკრედიტივი. მისი მოსაზრებით აღნიშნული სამი საკითხის ერთ თემაში განხილვა იყო არარეალური. ასევე ლიტერატურა განსაკუთრებით აკრედიტივის ნაწილში არ იყო რელევანტური. აღსანიშნავი იყო, რომ ქართული წყაროები აკრედიტივთან

დაკავშირებით საკმაოდ მწირი იყო, თუმცა გაბისონიას წიგნში „საბანკო სამართალი" აღნიშნული საკითხი უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავი იყო, რომ ძირითად ლიტერატურაში ხშირად მოცემული იყო საკანონმდებლო აქტები და დამატებით ლიტერატურაში იყო მითითებული უცხო ენოვანი სახელმძღვანელოები. 2007 წლიდან ასევე უცხო ენოვან წყაროებში გამოიყენებოდა USP 600 ხოლო დაწესებულებას მითითებული ჰქონდა USP 500 რომელიც 2007 წლიდან აღარ იყო რელევანტური.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, თუ რომელ ლიტერატურას ჩადებდა ლექტორი სილაბუსში იყო მისი აკადემიური თავისუფლება, და მისი მოსაზრებით საგანი ნებისმიერ შემთხვევაში გავიდოდა შედეგზე. სამი საკითხის გაერთიანება იყო მისი არჩევანის საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა სანივთო სამართალთან და მის ორ ნაწილად დაყოფასთან დაკავშირებით. გაყოფა შესაძლებელი იყო ყოფილიყო გემოვნების საკითხი თუმცა იყო დუბლირებული საკითხები. სანივთო სამართალში ინტეგრირებული იყო ვალდებულებითი სამართლის ნაწილი საკითხებისა, როგორიც იყო თავდებობა და საბანკო გარანტია, რომელიც მოცემულია სახელშეკრულებო სამართალში და მერვე თემა მთლიანად სანივთო სამართლის მეორე ნაწილში ეთმობოდა. ასევე, ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები, როგორიც იყო პირგასამტეხელო და ა.შ მოცემული იყო ვალდებულებით სამართალშიც და სანივთო სამართლის მეორე ნაწილშიც, რომელსაც ეთმობოდა ერთი სრული თემა. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რით იყო გამოწვეული ის, რომ აღნიშნულ საკითხებს ეთმობოდა ამხელა ყურადღება, რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი რომ სამართლის ყველა დარგში უნდა ყოფილიყო შესული არაერთხელ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კერძოდ სანივთო სამართლის ლექტორმა განაცხადა, რომ სანივთო სამართლის ორ ნაწილად გაყოფა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მოცულობით იყო დიდი მასალა და გადაწყვიტეს, რომ გაენაწილებინათ. ორივე ნაწილი მოიცავდა სანივთო უფლებებს, მაგრამ აქცენტი გაკეთდა იმის გამო, რომ იქნებოდა ეს თავდებობა თუ საბანკო გარანტია როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, განხილული ყოფილიყო იპოთეკასა და გირავნობასთან ერთად. კაზუსებიც საკმაოდ გართულებული იყო მეორე ნაწილში და მოიცავდა არა მხოლოდ წმინდა გაგებით სანივთო სამართალს, არამედ ვალდებულებითი სამართლის ნაწილის სიღრმისეულად იყო წარმოდგენილი, შესაბამისად საინტერესო იქნებოდა სანივთო სამართლებრივ ინსტიტუტებთან ერთად ისეთი ინსტიტუტების დამატება თუნდაც გამეორების თვალსაზრისით, რომელიც მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შეეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული პრინციპით საგანი გაცდა სანივთო სამართლის ფარგლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაღაც გაგებით შესაძლოა გაცდნენ ფარგლებს თუმცა ახლო კავშირში იყო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც თვალი გადაავლო ქართული მართლწერის სილაბუსს, განსახილველად გათვალისწინებული იყო ძირითადად ორთოგრაფიული და

პუნქტუაციური საკითხები. აღნიშნული მე-4 და მე-7 კლასის პროგრამაში ისწავლებოდა. პროგრამაზე ირიცხებოდა სტუდენტი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ეროვნული გამოცდა ქართულ ენაში. მას აინტერესებდა რატომ ასწავლიდნენ პუნქტუაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებდა შუალედურ წერით გამოცდებს, შედეგებიდან გამომდინარე არ იქნებოდა ცუდი პირველ სემესტრში განევითარებინათ სტუდენტებისათვის გარკვეულწილად წერითი უნარები უკეთესი შედეგის მიღების მიზნით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ წინა წელს, როდესაც პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად მიჩნეული იყო აკადემიური პერსონალი. საბჭოს მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის ოპტიმიზაციის თაობაზე. მას აინტერესებდა ექსპერტების ინფორმაციაც შევსებული იყო თუ არა აკადემიური პერსონალი და როგორი იყო თანაფარდობა. აღსანიშნავი იყო, რომ ძველი მდგომარეობით პროგრამა ხორციელდებოდა მოწვეული ლექტორების ხარჯზე. საქართველოში 2018 წელს განხორციელებული იქნა რამოდენიმე განმავითარებელი შეფასება, რომელიც შეეხებოდა რეგულირებად პროგრამებს, მათ შორის სამართალს და ერთ-ერთი დიდი ხარვეზი, რომელიც დადგინდა უცხოელი ექსპერტების მიერ იყო აფილირებული და მოწვეული ლექტორების თანაფარდობის საკითხი. მას, ასევე სურვილი ჰქონდა გამოხმაურებოდა რჩევას, რომელიც ეხებოდა საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო კონფერენციებში. მისი მოსაზრებით ბაკალავრიატი არ იყო ის ადგილი, სადაც სტუდენტი აკადემიურ - სამეცნიერო უნარ-ჩვევებს უნდა დაუფლებოდა და ინტეგრირებულად ლექტორთან ერთად ეწერა კრებულები და წიგნები. აღნიშნული ეხებოდა კონფერენციებში მონაწილეობასაც. ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტს მოეთხოვებოდა ძირითადი საგნების სწავლა კარგად. რაც შეეხებოდა რჩევას სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბებაზე სადაც ინტეგრირებული იქნებოდნენ სტუდენტები არ იყო ცუდი ჩანაფიქრი თუმცა ვინაიდან დაწესებულებაში არ ხორციელდებოდა სადოქტორო პროგრამა აღნიშნული რჩევა ნაკლებად იყო რელევანტური.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა განაცხადა რომ პროგრამაში გათვალისწინებული რეპეტიტორიუმის კურსის მოდული დაწესებულებას სავარაუდოდ აღებული ექნებოდა გერმანული მოდელის საფუძველზე. თუ კი დაწესებულება რეპეტიტორიუმში მოახერხებდა სამოქალაქო პროცესის საკითხების ინტეგრირებას რჩევა არ დადგებოდა დღის წესრიგში. რაც შეეხებოდა ლიტერატურაში საკანონმდებლო აქტების მითითებას ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო გემოვნების საკითხი, ვინაიდან არცერთ საგანში ლიტერატურის ჩამონათვალში არ შეიძლებოდა მითითებული ყოფილიყო ნორმატიული აქტი. რეპეტიტორიუმის სამოქალაქო სამართალში ლიტერატურის სახით მითითებული იყო სამოქალაქო კოდექსი და ნორმები, მაშინ როდესაც საგნის მიზანში პირდაპირ ეწერა, რომ სტუდენტს აძლევდნენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განზოგადების უნარს და ღრმა თეორიულ ცოდნას, ასევე სამოქალაქო სამართალში გადაწყვეტილებების ცოდნას. აუცილებელი იყო ლიტერატურაში მითითებული ყოფილიყო სასამართლოს გადაწყვეტილებებიც. ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმში სხვანაირად იყო სიტუაცია, ვინაიდან მითითებული იყო გადაწყვეტილებები. რაც შეეხებოდა სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმს, საკითხები ძირითადად მეორდებოდა, რაც გავლილი ჰქონდა სტუდენტს ზოგად ნაწილში. ის ვერ

ხედავდა სად იყო გაღრმავება. რეპეტიტორიუმი მოიცავდა კომპლექსურად კერძო სამართლის უმნიშვნელოვანეს სფეროებში საკითხების კომბინაციას. რაც შეეხებოდა სამეწარმეო სამართლის საგანს, უმჯობესი იქნებოდა თუ კი დაარქმევდნენ საკორპორაციო სამართალს, ვინაიდან სამეწარმეო სამართალი შთანთქავდა საკორპორაციო სამართალს, როგორც შიდაორგანიზაციულ სამართალს. აღსანიშნავი იყო, რომ სილაბუსის შინაარსიც შეიცავდა შიდაორგანიზაციულ სამართალს ანუ საკორპორაციო სამართალს პირდაპირი გაგებით. ძალიან დიდი მოცულობით იყო წარმოდგენილი საკითხები კაპიტალური ტიპის საზოგადოებასა და სამართალზე. საკორპორაციო სამართალი, როგორც ორგანიზაციული ფორმების სამართალი ანუ ბიზნეს სუბიექტების სამართალი უნდა მოიცავდეს პერსონალური ტიპის საზოგადოებებს, მიუხედავად იმისა რომ არ იყო აქტიურად განვითარებული საქართველოში. აღსანიშნავი იყო, რომ სამართლის ფილოსოფიის საგანში, მეთოთხმეტე თემაში სასურველი იყო თუ დაემატებოდა ლაშა ბრეგვაძის სტატიები. ასევე, მეთხუთმეტე თემაში მოცემული იყო რამოდენიმე მსხვილი საკითხი, რომელთაც ევროპის უნივერსიტეტში ეთმობოდა მთელი სემესტრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამართლის ფილოსოფიის ინტეგრაცია პროგრამაში გახლდათ სასიამოვნო სიახლე საქართველოში, ვინაიდან სხვა დაწესებულებებში ძირითადად იკითხებოდა სამართლის ფილოსოფიის ისტორია. აღნიშნულ საგანს ეთმობოდა ერთი სემესტრი და მათ სურვილი ჰქონდათ ამ ერთი სემესტრის მანძილზე სტუდენტებისათვის მიეწოდებინათ მაქსიმალური ინფორმაცია კლასიკურ თემებზე, ავტორებზე და გადაწყვეტილებებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეპეტიტორიუმთან დაკავშირებულ შენიშვნაზე განაცხადა, რომ მათ სურდათ გერმანული პრაქტიკის დანერგვა დაწესებულებაში და მისი ადაპტირება საქართველოს მოცემულობასთან. რეპეტიტორიუმის დანიშნულებას წარმოადგენდა სტუდენტის მომზადება სახელმწიფო გამოცდებისათვის. აღსანიშნავი იყო, რომ გერმანიის პრაქტიკაშიც საპროცესო საგნები არ წარმოადგენდნენ რეპეტიტორიუმში ძირითად საგნებს, კაზუსები წარმოდგენილია მატერიალური სამართლის სხვადსხვა დარგებიდან. მათი ჩანაფიქრის მიხედვით სურდათ სტუდენტებს ჰქონოდათ უნარი წარმოედგინათ დამოუკიდებელი სამართლებრივი არგუმენტაცია. რეპეტიტორიუმი მათ დაწესებულებაში განხორციელდებოდა პირველად მომდევნო სემესტრში და დააკვირდებოდნენ დინამიკას, რა მეთოდი გაამართლებდა და რა იქნებოდა შესაცვლელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში გაორმაგებული იყო აკადემიური პერსონალის რაოდენობა, 85% პერსონალისა იყო მათთან აფილირებული, თანაფარდობა იყო 27% - 3 % -თან მიმართებით. საკორპორაციო სამართალთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს და გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ როდესაც გაეცნო პროგრამას და სასწავლო გეგმას დააკლდა რამოდენიმე საგანი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი სავალდებულო ან არჩევითი კურსის სახით. პროგრამაში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი საკითხები რომის სამართალთან დაკავშირებით, არცერთი კურსი არ იყო წარმოდგენილი სამართლის

საფუძვლების და ისტორიის მოდულიდან, მაგალითად, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, სამართლის მეთოდები, შედარებითი კონსტიტუციონალიზმი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ა.შ. აღსანიშნავი იყო, რომ ბევრ სილაბუსში ლიტერატურა საჭიროებდა განახლებას. მაგალითად, მუნიციპალური სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გადახდისუუნარობის სამართალი, სადაც ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო მხოლოდ კანონები, კრიმინალისტიკა, სადაც მითითებული იყო 1995 წელს გამოშვებული წიგნი, მაშინ როდესაც 2006, 2007, 2009 და 2013 წლებში გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები. ასევე, არ ისწავლებოდა რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი კრიმინალისტიკური მეთოდი. სასურველი იქნებოდა თუ კი პროგრამაში გათვალისწინებული იქნებოდა სპეციალობის მოდულები რაც სტუდენტებს მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემდა. სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები იყო გაერთიანებული. სასურველი იყო მოდულების გამოყოფა. პროგრამას მისი მოსაზრებით ასევე, აკლდა შემდეგი საგნები: საადვოკატო საქმიანობის და დაცვის ხელოვნება, საპროკურორო სამართალი და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა, რომელიც თითქმის ყველა დაწესებულებაში ისწავლებოდა ცალკე კურისი სახით.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო ისეთი რჩევითი საგნები, როგორიც იყო საბანკო და სადაზღვეო სამართალი, სასურველი იქნებოდა მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი ცალკე ყოფილიყო გამოტანილი, რომელიც პირდაპირ უპასუხებდა მათ მოთხოვნას ვინაიდან გათვალისწინებული ჰქონდათ რამოდენიმე საგანში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პალიტრა სტუდენტებისა იყო სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით, რომ ერთი პროგრამა ვერასდროს უზრუნველყოფდა მათ სრულ მოთხოვნებს. შეუსრულებელ მისიას წარმოადგენდა პროგრამას მოეცვა ყველა საგანი, დაეკონკრეტებინა და ჩასული სიღრმეებში. პროგრამა ემსახურებოდა საბაზისო განათლებას ძირითად მიმართულებებში.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა ძირითადად სად საქმდებოდნენ მათი კურსდამთავრებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების მაჩვენებელი იყო 87% და მათი კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებულები იყვნენ კერძო სექტორში. წარმომადგენელმა რომის სამართალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რომის სამართალი რადიკალურად განსხვავდებოდა თანამედროვე სამართლისაგან, თუმცა შესაძლებელი იყო ძირითადი პრინციპების აღიარება. მისი მნიშვნელობა გარკვეულწილად გაზვიადებული იყო და სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებითაც გადაწყვიტეს არ შეეტანათ პროგრამაში. რაც შეეხებოდა ლიტერატურას და კანონების მითითებას, გადახდისუუნარობის საგანში არსებობდა მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც თარგმანი იყო გერმანელი ავტორის და ლექტორის მოსაზრებით არ შეესაბამებოდა იმ დონეს რომ ესწავლებინათ საგნის ფარგლებში. შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენდა ლექტორის აკადემიური თავისუფლების საკითხს. სტუდენტები პირველი კურსის მეორე სემესტრში სწავლობდნენ სამართალმცოდნეობის შესავალს, სადაც გაერთიანებული იყო თეორია და მეთოდოლოგია. რაც შეეხებოდა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლის საფუძვლებს აკლდა

რამოდენიმე ფუნდამენტური საგანი დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით არ იყო სწორი შენიშვნა და ვერ გაიზიარებდა მოსაზრებას ვინაიდან სამართლის საფუძვლებში მოიაზრებოდა რამოდენიმე მიმართულება სამართლის ისტორია, სამართლის თეორია, სამართლის ფილოსოფია, სამართლის სოციოლოგია და სამართლის მეთოდები. პირველ და მეორე კურსზე ფუძემდებლური დარგები მოიცავდნენ აღნიშნულ საკითხებს და რაც აკლდა იყო მხოლოდ სამართლის სოციოლოგია რომელიც არ ისწავლებოდა საქართველოში. პირველ სემესტრში სტუდენტები სწავლობდნენ ზოგადად ფილოსოფიას და ბევრ ისეთ საგანს რომელიც ამზადებდა მათ სამართლის საგნების შესასწავლად. აღნიშნული ასევე გრძელდებოდა რეპეტიტორიუმში სხვადსხვა საგნების სახით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ წინა წელს არსებული ხარვეზები საგნების კუთხით დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა. ერთ-ერთ ძირითად ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ აქცენტი კეთდებოდა კერძო სამართლაზე და არ იყო გათვალისწინებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა, რომელიც გულისხმობდა ისეთი იურისტის ჩამოყალიბებას პროგრამის დასრულების შემდგომ, რომელას ექნებოდა წარმოდგენა სამართლის ყველა დარგის შესახებ.

18:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 19:10 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიუტუტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი. ასევე, საბჭომ ცენტრს მიმართა შეუამდგომლობით, რომ პროგრამაზე 1 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდებოდა თუ რამდენად შეასრულა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს წევრების მიერ მიცემული რეკომენდაციები.

4. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	140

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან ის საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, დავით მაისურაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- აუცილებელი იყო რამდენიმე სილაბუსის (მაგალითად, შედარებითი საკორპორაციო სამართალი) გადამუშავება და მასში უახლესი ლიტერატურის ასახვა და თემატიკის ჩაშლა საგნის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე;
- მნიშვნელოვანი იყო რამოდენიმე სილაბუსში (მაგალითად, შედარებითი კერძო სამართალი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და ა.შ.) დამატებოდა კაზუსებით სტუდენტების შეფასება;

- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას ხელი უნდა შეეწყო სტუდენტისათვის კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოემუშავებინა სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნებოდა ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე, უნდა წაეხალისებინა და ხელი შეეწყო მაგისტრანტებისათვის, სამეცნიერო კვლევებით მიეღოთ პროექტებში მონაწილეობა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო დაგეგმილიყო პრობლემური საკითხების განხილვისათვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებოდათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა მათი ინტერესების გათვალისწინებით;
- აუცილებელი იყო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფოკუსირება სამაგისტრო ნაშრომების ეტაპობრივად, სწორად დამუშავებასა და განსაზღვრის სტრატეგიის შემუშავებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შედარებით საკორპორაციო სამართალს კითხულობდა პროფესორი როინ მიგრიაული, რომლის მიმართულება გახლდათ გერმანულენოვანი ლიტერატურა და ის, რომ სილაბუსში არ იყო გათვალისწინებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები არ ნიშნავდა იმას, რომ სტუდენტს არ ჰქონდა შედარებითი ლიტერატურა. საგნის ლექტორმა თავად თარგმნა გერმანულენოვანი სახელმძღვანელო თანამედროვე შედარებითი საკორპორაციო სამართლის, რომელიც არ იყო ჯერ გამოცემული მაგრამ ფიქსირდებოდა სილაბუსში. გამოუქვეყნებელი ვერსია ჰქონდა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში და სტუდენტები რიდერებით და ამ თარგმანით ჩვეულებრივად სწავლობდნენ. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ არ შეიძლებოდა უკეთესად განვითარება ლიტერატურის, დაწესებულება იმუშავებდა საკითხზე. რაც შეეხებოდა კაზუსებს, პრინციპული პოზიცია იყო, რომ პროგრამაში გათვალისწინებული დაახლოებით 42 საგნიდან, 30-ზე მეტ საგანში კაზუსი გამოყენებული იყო როგორც შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. აღსანიშნავი იყო რომ შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი არ გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ კაზუსს როგორც შეფასების კრიტერიუმს. კაზუსებით და გადაწყვეტილებებით სწავლება ინტეგრირებული იყო სალექციო ნაწილში, სილაბუსებში ასევე მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც მთლიანად ითვალისწინებდა პრეცედენტულ სამართალს და შემთხვევის ანალიზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით იზიარებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას, იგრძნობოდა გაუმჯობესების დინამიკა, შეცვლილი იყო სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, დანერგილი იყო ანტიპლაგიატის სისტემა, სტუდენტებს შესთავაზეს დამატებითი საკონტაქტო საათები და სერვისი პროფესორების მხრიდან ვინაიდან აფილირებული პროფესორების დატვირთვამ მისცა მათ აღნიშნულის საშუალება. რაც შეეხებოდა აკადემიურ წერას და ზოგადად სამართლებრივ წერას წარმოადგენდა სერიოზულ პრობლემას ქვეყანაში. სტუდენტებს

უჭირდათ ბევრი რამის შესრულება თუნდაც Word პროგრამაში გამართულად მუშაობა, რის გამოც მათ ორი დამატებითი ლექცია უტარდებოდათ Word - ის შეწავლის მიზნით. შეცვლილი იყო ასევე, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, ხდებოდა წინასწარი დაცვა სემესტრის დასაწყისში მეორე კვირის შემდეგ, როდესაც სპეციალური კომისია სტრუქტურას, სათაურს და მათ შორის ლიტერატურას ურედაქტირებდა სტუდენტს. რაც შეეხებოდა დასკვნაში ასახულ რჩევებს, მათ ჰქონდათ კრიმინოლოგიის, დანაშაულისა და მართლმსაჯულების ცენტრი, მათ ჰქონდათ თანხმობა ნორვეგიული ფონდიდან, რომელიც გაზაფხულზე დააფინანსებდა მათ კრიმინოლოგიის საერთაშორისო კონფერენციას და ასევე აპირებდნენ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებებით. რაც შეეხებოდა პრაქტიკოსების სალექციო აქტივობას, მათ პერსონალს, რომელიც ჩართული იყო პროგრამაში, ყველას ჰქონდა აუცილებელი კვლევის კომპონენტი და საეთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება, რამოდენიმე მათგანი იყო დოქტორანტი და ასისტენტი. ძირითადი პრობლემა მდგომარეობდა პრაქტიკოსებთან დაკავშირებით, დიდი ნაწილი იყო მოწვეული პერსონალი და იწვევდნენ იმიტომ, რომ უნდოდათ კონკრეტული პრაქტიკული სფეროს გაცნობა. მაგალითად, მტკიცების პროცესი სამართალში, რომელიც უნდა წაეკითხა პროკურორს ან მტკიცების პროცესი სამართალში, რომელიც უნდა წაეკითხა ადვოკატს ან მოსამართლეს. მათი პრაქტიკული გამოცდილებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე უღირდათ, რომ ასეთი პირები არ ყოფილიყვნენ მომზადებულები აკადემიურ დონეზე ნაშრომების მხრივ, მაგრამ ჰქონოდათ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უცხო ენასთან მიმართებით, შესაძლებელი იყო, რომ სტუდენტს გადაელახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ უცხო ენის ოთხი კომპონენტიდან გაუმჯობესებული ჰქონოდა მხოლოდ კითხვისა და წერის ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე დაქირავებული ჰყავდათ ავსტრალიელი და ამერიკელი ლექტორები და მათ მოქმედ სტუდენტებს უსასყიდლოდ სთავაზობდნენ ინგლისური ენის კურსებს და ძალიან დიდი იყო დაინტერესება. სამომავლად შედარებით კონსტიტუციურ სამართალს და ტექნოლოგიურ სამართალსაც წაიკითხავდნენ უცხოელი პროფესორები, მათთან მიდიოდა აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება. რაც შეეხებოდა ბიუჯეტს, როგორც ცნობილი იყო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სტუდენტთა გადასახადი, პროგრამა გათვლილი იყო 30-35 სტუდენტზე ორივე კურსის მასშტაბით და არსებული მდგომარეობით ჰყავდათ 68 სტუდენტი. პროგრამა იყო თვითკმარი და კარგად უზრუნველყოფდა ფინანსების თვალსაზრისით საკუთარ თავს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სურდა დათანხმებოდა ექსპერტს შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსთან დაკავშირებით, ცუდი იყო რომ უცხო ენოვანი ლიტერატურა საერთოდ არ იყო გამოყენებული. სასწავლო კურსის მიზანში, რომელიც ორი პუნქტისაგან შედგებოდა, პირველ პუნქტში პირდაპირ ეწერა, რომ სილაბუსი ორიენტირებული იყო ქართული სამართლის ღრმა ცოდნაზე, ხოლო მეორე პუნქტში ნახსენები იყო ქართული და გერმანული საკორპორაციო სამართლის უნარების სინთეზი, რაც მისთვის ცოტა გაუგებარი იყო. თავად სილაბუსის შინაარსიდანაც გაურკვეველი იყო, რატომ ერქვა საგანს შედარებითი ანუ რასთან ხდებოდა შედარება. სილაბუსში არ ჩანდა შედარების ასპექტი, საუბარი იყო მხოლოდ ქართულ კანონმდებლობაზე და ლიტერატურაც, რომელიც გამოცემული იყო 2002 წელს „მეწარმეთა შესახებ კანონის" კომენტარი არ იყო რელევანტური ვინაიდან მას მერე განხორციელებული იყო რევოლუციური ცვლილებები 2008 წელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეალურად პრქტიკაში შედარებითი სამართლებრივი ნაწილი ხორციელდებოდა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო საგნები როგორიც იყო შედარებითი კონსტიტუციუონალიზმი, შედარებითი კერძო სამართალი და სხვა. პირველი თემა იყო შედარებითი სამართლის არსი. როგორ შეიძლებოდა შედარებითი სამართლის არსი როგორც მეთოდისა ყოფილიყო ნაციონალური სამართლებრივი ფორმების შედარება ერთმანეთთან. არაჩვეულებრივი სილაბუსი იყო კონსტიტუციონალიზმში, სადაც პირველი თემა იყო შედარებითი კონსტიტუციონალიზმი. მეორე თემა იყო ევროპის კონსტიტუციები, დაწერილი და დაუწერელი. შემდგომ მოდიოდა შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი, რაც ძალიან კარგი იყო რომ ჰქონდათ და მითითებული იყო სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი. ერთადერთი გამონაკლისი პროგრამაში იყო სწორად შედარებითი საკორპორაციო სამართალი, სადაც არ იყო შედარების მაგალითები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგნის პროფესორთან, როგორც აღინიშნა მიმდინარეობდა კონსულტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ჰქონდათ იდეა, რომ მოეწვიათ უცხოენოვანი ლექტორიც ვინაიდან ქართულენოვანი ლიტერატურა იყო მწირი, რომ განხორციელებულიყო შედარება. აღნიშნულ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებდა პროფესორის მიერ თარგმნილი წიგნი, თუმცა რეკომენდაცია მისაღები იყო და საგანი შესაძლებელი იყო დაეხვეწათ შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თუ გამოიყენებდნენ შედარებით საკორპორაციო სამართალს კარგი იქნებოდა თუ კი ღერძი იქნებოდა ქართული სამეწარმეო სამართალი და შემდეგ ადგილი ჰქონოდა შედარებას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა რომ საბანკო სამართლის სილაბუსი კარგად იყო სტრუქტურირებული, თუმცა თემატიკის თვალსაზრისით მწირი იყო საკითხები საბანკო გარანტიის, აკრედიტივის შესახებ. ავტორს არჩეული ჰქონდა გაბისონიას სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემული იყო 2012 წელს, რომელიც ხელახლა იქნა გამოცემული 2017 წელს ახალი რედაქციით რაც საშუალებას მისცემდა სწორად საბანკო გარანტიის და აკრედიტივის საკითხების უფრო ფართოდ გადმოცემას. ასევე, სტატიები და უახლესი უცხოური ლიტერატურაც იყო ხელმისაწვდომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სავარაუდოდ ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენდა მითითებული გაბისონიას წიგნის 2012 წლის გამოცემა, რადგან დაწესებულება სარგებლობდა უახლესი ლიტერატურით. რაც შეეხებოდა კონკრეტულ სტატიებს, ავტორის გადაწყვეტილებით სჭირდებოდა სწორად აღნიშნული კონკრეტული სტატია. რაც შეეხება იმას, რომ საგანი არ იყო გადატვირთული საკითხებით, მაგისტრატურაში იყო რამოდენიმე საგანი, რომელიც ორიენტირებული იყო კონკრეტულ საკითხებზე და პრაქტიკოსები იურისტი საბანკო სფეროდან კითხულობდა საგანს და ორიენტირებული იყო პრაქტიკულ დავალებებზე, შუალედური გამოცდაც ითვალისწინებდა ხელშეკრულებების გაფორმებას. ბაკალავრიატის საფეხურზე მათ ჰქონდათ საბანკო საქმის

საფუძვლები და ისწავლებოდა ფუნდამენტური საკითხები. ასევე გათვალისწინებული იყო რომ არ მომხდარიყო დუბლირება სამაგისტრო საფეხურზე.

19:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 20:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 20:10 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

გიორგი ამილახავრი

მდივანი
ნინო ლიპარტია